სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ჟაკ ლენერისი, ლოზანის უნივერსიტეტი, შვეიცარია

წევრები:

ელენე ჩერქეზია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ლილი ხეჩუაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნიკოლოზ ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

მარიამ ამაშუკელი, სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ლილი ბიბილაშვილი, ღ პროფესიონალთა გილდია, საქართველო

თბილისი,

ავტორიზაციის დასკვნის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაფუძნებულია 2006 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და ავტონომიური დაწესებულებას. ესაა ორი უნივერსიტეტისა და 15 კვლევითი და აკადემიური დაწესებულების გაერთიანების შედეგი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ხედვაა, რომ გახდეს „საქართველოსა და რეგიონში წამყვანი და სწრაფად მზარდი კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც ინოვაციური მიდგომებით ქმნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების, მაღალი ხარისხის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლებს”[1]. მისი ორგანიზაცია და ძირითადი ორგანოები საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად განსაზღვრულია მის წესდებაში.

უნივერსიტეტის განვითარება ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას (ამჟამად 2018-2024წწ), შემუშავებულს თანამონაწილეობრივად და სამოქმედო გეგმებში ასახულს უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და ცენტრალური ერთეულების დონეზე.

უნივერსიტეტი შედგება 4 ფაკულტეტისაგან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო, ბიზნესის სკოლა, სამართლის სკოლა, მეცნიერებათა და ხელოვნების), რომლებიც სრულად არიან ჩართულნი სწავლებასა და კვლევაში.

ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს 23 საბაკალავრო პროგრამას და 40 სამაგისტროს, ასევე, 9 სადოქტორო პროგრამას. ამას გარდა, შეთავაზებულია მასწავლებლის მომზადების ერთი პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. საერთო ჯამში 15978 სტუდენტი სწავლობს და აქვს აქტიური სტატუსი (მათ შორის 13705 საბაკალავრო, 1889 სამაგისტრო და 119 სადოქტორო პროგრამებზე). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, ორგანიზებას უწევს უწყვეტ განათლებას.

Scimago-ს ინსტიტუციურ რანჟირებაში მისი ადგილით (656-ე), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვლება საქართველოს მოწინავე კვლევით უნივერსიტეტად. ცხრამეტ კვლევით ინსტიტუტს წვლილი შეაქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ძალისხმევებში. კვლევა და სწავლება წარმოებს 300 აკადემიური პერსონალის, 301 მკვლევარის, 805 მოწვეული და 1326 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ.

[1] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ღირებულებები, ხედვა, მისია.

ავტორიზაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი ემყარებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს, მეტად თანამონაწილეობრივი თვითშეფასების შედეგს. ბევრი კვლევა და მონაცემთა ანალიზი იქნა გამოყენებული თვითშფასების ანგარიშის შესადგენად და უნივერსიტეტის ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის გარე მხარეები, ჩართულნი იყვნენ პროცესში ინდივიდუალურად ან სხვადასხვა საბჭოების წევრობის მეშვეობით.

თვითშეფასების ანგარიში მკაფიოა და მოიცავს უამრავ გამოსადეგ ინფორმაციას. ძირითადად აღწერითი ხასიათის ანგარიშს აქვს ანალიტიკური კონტექსტი, 7 ძირითად სტანდარტისადმი მიძღვნილი ყველა თავის ბოლოში „ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების“ ანალიზის მეშვეობით.

ადგილზე ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ჯგუფმა მოახერხა 25 შეხვედრის ჩატარება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, ორგანიზებულ იქნა შენობა-ნაგებობების მონახულება, ისევე, როგორც შესაძლებლობა გაცნობოდნენ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ნიმუშებს. დისკუსიები იყო ღია და ძალიან გამოსადეგი იმისათვის, რომ ჯგუფს უკეთ გაეგო ინსტიტუციის თვითშეფასების ანგარიში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს პერსონალი სიამოვნებით იძლეოდა სრულ ინფორმაციას და ვიზიტისას მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტაციას

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციების შეჯამება

საგანმანათლებლო პროგრამები

- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და შინაარსი, სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე მეტი აქცენტირებით (პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიაზე მეტი აქცენტით). დამყარდეს უფრო მკაფიო კავშირი შერჩეულ სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- მოხდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის კომპონენტების მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების დაზუსტება და მკაფიო დეტალიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს.

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად და საერთაშორისო პრაქტიკების თანახმად, უნდა გაიზადოს HR დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა.
- გაუმჯობესდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა ყველა პოზიციისათვის;
- გაუმჯობესდეს ტრენინგებისა და განვითარების პროგრამები საქმიანობის შემდგომი შეფასებისა და პოზიციის საჭიროებების საფუძველზე.

რჩევების შეჯამება

მისია და სტრატეგიული განვითარება

- განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშწყობის მიზნით, უფრო მეტად განავითარეთ სამოქმედო გეგმა, უფრო მეტი დეტალების მოყვანით საჭირო რესურსებისა და ვალდებულებების შესახებ.

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- ჩამოაყალიბეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სისტემის სისტემური ხედვა, მათ შორის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რესურსებითა და აქტივობებით (როგორიცაა ტრენინგები).
- ფაკულტეტის დონეზე ხარისხის კულტურის განვითარების ხელშესაწყობად გააფართოვეთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის პასუხისმგებლობის ფარგლები (ამჟამად ძირითადად ფოკუსირებულია პროგრამებზე).
- მოახდინეთ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებზე უკუკავშირის სისტემატიზება, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის განვითარებისა და გამოკითხვებში სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდას და მათგან უფრო უკეთ ფორმულირებული პასუხების მიღებას.

საგანმანათლებლო პროგრამები

- ზოგიერთ პროგრამაში შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების გაზრდა.
- დარწმუნება იმაში, რომ სამაგისტრო ნაშრომებისადმი მოთხოვნები ყოველთვის შესაბამისობაშია სწავლის ამ დონის აკადემიურ მოლოდინებთან

უსდ-ის პერსონალი

- სასურველია, რომ არსებობდეს ერთიანი სააპლიკაციო ფორმა ყველა თანამშრომლისათვის, რაც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მონაცემების შენახვისათვის და გაუმჯობესებდა HR დეპარტამენტის საქმიანობასა და დროის მენეჯმენტს.
- ვინაიდან 2018 წლის 1 ოქტომბერი წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის ეფექტიანობის ვადას, უკეთესი იქნებოდა გამოყენებულ ყოფილიყო განსხვავებული მეთოდები განსხვავებული პოზიციებისათვის (მაგალითად 720 და 360 გრადუსი, მიზანზე ორიენტირებულობა, შეფასება კომპეტენციების მიხედვით (მოცემულ შემთხვევაში კომპეტენციების რუკის შემუშავება იქნება აუცილებელი) და სხვა მეთოდები).

კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- შეთავაზებულია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ყველა კვლევითი ინსტიტუციის/ერთეულის ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით, მთელი არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით, განახორციელოს აქტივობები საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად.
- შეთავაზებულია, რომ დარგისათვის საჭირო პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განვითარების უზრუნველსაყოფად ამაღლდეს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
- არსებულ რესურსებთან ქმედებების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტებისა და სკოლების სამოქმედო გეგმები უნდა იყოს უფრო ზუსტი და დეტალური.
- ზომები უნდა იქნეს მიღებული სადოქტორო დისერტაციების დაცვის ინდიკატორის გასაუმჯობესებლად.
- გაიზარდოს მრავალდისციპლინური სადოქტორო სკოლების რაოდენობა.
- განხორციელდეს სხვადასხვა კატეგორიებისათვის კვლევების შეფასების მეთოდოლოგიის შემდგომი შემუშავება.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020წწ. სამოქმედო გეგმები იძლევიან დაგეგმილი

აქტივობების დატელურ აღწერას 2018, 2019, 2020 წლებისათვის და თითოეული საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და კვლევითი აქტივობისათვის ყოველწლიურად გამოყოფილ ერთჯერად თანხებს; თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა თითოეული აქტივობისათვის, სადაც რელევანტურია, ბიუჯეტის უფრო დაკონკრეტება; მაგალითად, მოსალოდნელი ხარჯები დაგეგმილი კონფერენციებისათვის, პერსონალის ტრენინგისათვის და სხვ.

- ვინაიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ღია სივრცეა, დარწმუნდით, რომ კამპუსში ადამიანების უსაფრთხოება დაცულია.
- შენობები გამოიყენეთ უფრო ეფექტიანად სტუდენტთა სასარგებლოდ (მაგ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თავისუფალი სივრცეები გამოიყენეთ სტუდენტთა არაფორმალურ სამუშაო და შეხვედრების ადგილების შესაქმნელად).

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

მისია და სტრატეგიული განვითარება

- სტრატეგიული გეგმის შემუშავება მეტად თანამონაწილეობრივი გზით, ძირითადი და გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციისა და ინსტრუმენტების მტკიცე კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან
- პროაქტივობა ეთიკის საკითხების მიმართ და დახმარება აკადემიურ კეთილსინდისიერებაში, კერძოდ პლაგიატის თავიდან აცილების ინსტრუმენტების შემოღება (ტურნიტინი)

საგანმანათლებლო პროგრამები

- პროგრამების შემუშავების მკაფიო და გამოყენებადი პროცედურები.
- გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში.
- მდგრადობისა და ხარჯების ეფექტურობის უზრუნველყოფა საბიუჯეტო ოფისთან თანამშრომლობით.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს ექსკლუზიურ პროგრამებს, რომლებიც არ გვხვდება საქართველოს არც ერთ სხვა უსდ-ში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე კურიკულუმების მრავალფეროვნება, ზოგიერთი მათგანის მჭიდრო კავშირით კვლევით ინსტიტუტებთან.
- პროგრამების მოდულური დაგეგმვა.

უსდ-ის პერსონალი

- ყველა სამუშაოა ჩატარებული "თამაშის წესების“ განმარტებისათვის
- აკადემიური პერსონალის აფილირება

სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

- მოწყვლად და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ზრუნვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტზე ორიენტირებულობის ყველა ზომისა და აქტივობის ილუსტრირება.

კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- კვალიფიციური პერსონალი დამხმარე მომსახურებებისათვის.
- კომპეტენტურობა და წარმატება დამატებითი შემოსავლების მოპოვებაში.
- კარლ- ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია 2018-2020წწ. დეტალური სამოქმედო გეგმა თითოეული ფაკულტეტისათვის; ფაკულტეტების შესრულების გაზომვის კატეგორიები და საზომები მკაფიოდაა განსაზღვრული (მაგ. პროცენტულობა, ან რაოდენობა ან მოცულობა და ა.შ.), თითოეული ძირითადი შესრულების ინდიკატორი მითითებულია;
- ძალისხმევა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და განსაკუთრებულ საჭიროებებზე ადაპტირებისათვის.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებებზე მორგებული IT პლატფორმა.
- თანამონაწილეობრივი მიდგომა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ბიუჯეტის პროექტის მომზადებისადმი.
- შიდა აუდიტის სამსახური, იმისთვის რომ აწარმოოს მატერიალური რესურსების მართვის მონიტორინგი, ისევე, როგორც საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ფაკულტეტების ან სხვა ერთეულებისათვის ამის საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- ბ-ნი ჟაკ ლენერისი (თავმჯდომარე)
- ქ-ნი ელენე ჩერქეზია
- ქ-ნი ლილი ხეჩუაშვილი
- ბ-ნი ნიკოლოზ ფარჯანაზე
- ქ-ნი მარიამ ამაშუკელი (სტუდენტი)
- ქ-ნი ლილი ბიბილაშვილი (დამსაქმებელი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია განსაზღვრულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (კერძოდ, მუხლი 3) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (კერძოდ, მუხლები 1 და 2) შესაბამისად.

უნივერსიტეტის მისია, ადგილობრივად და საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ეს განსაზღვრულია მისიის განაცხადში, არის საზოგადოების განვითარებაში დახმარება წარმოებული კვლევების მეშვეობითა და მათი გამოყენებით. ეს წვლილი ხაზგასმულია მისიასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრით, როგორებიცაა „სოციალური პასუხისმგებლობა“, „თანაბარი შესაძლებლობები“ და „მრავალფეროვნება“, ყველა მათგანი თანხვედრაშია ხალხისა და საზოგადოების განვითარების დახმარებაში უნივერსიტეტის პასუხისმგებლობასთან.

უნივერსიტეტის კვლევითი პროფილი და მისი ამბიციები საერთაშორისო დონეზე მკაფიოდაა აღწერილი მისიის განაცხადში („ცოდნის შექმნა“), ისევე, როგორც სწავლებაში - „ცოდნის გადაცემა“ და ცოდნის გამოყენებაში. კვლევისა და სწავლების ერთიანობა მკაფიოდაა გადმოცემული მისიაში და წარმოადგენს ძირითად კომპონენტს ისეთი კვლევითი უნივერსიტეტისა, როგორიცაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის მესამე მისია სრულადაა გადმოცემული განაცხადში. მისიის ეს პრიორიტეტები ასახულია სტრატეგიულ მიზნებში (სტრატეგიული მიზნები #1: 1.1, 1.1.1, 1.1.2, 1.2. 1.5). განვითარებასა და დასაქმებაზე ზრუნვა, ასევე, მკაფიოდაა ასახული სტრატეგიულ გეგმაში (#3.1, #4, #5.2).

მისიის ფორმულირება დაეფუძნა ფართო თანამონაწილეობრივ პროცესს, რომელიც მოიცავდა ყველა საბჭოსა და უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, ადმინისტრაციულ პერსონალს) და საბოლოოდ დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. გასაუბრებებმა აჩვენა უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების მკაფიო მხარდაჭერა. თავდაპირველი პროექტის მოდიფიცირება, საბჭოებზე მსჯელობის შემდეგ, ახდენს თანამონაწილეობრივი პროცესის ილუსტრირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირებულებები, ხედვა, მისია.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წწ.
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (21.12.2004წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება (11.09.2013წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუები
- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:
არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები.
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში გენერირებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს სრულყოფილად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა მომავალი 7 წლისათვის (2018-2024წწ), მათ შორის 6 ძირითადი მიზანი და საერთო ჯამში ძირითად მიზნებთან დაკავშირებული 65 მიზანი. ეს მიზნები მოიცავს უნივერსიტეტის ძირითად მისიებს (მიზანი #3 „სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესება“, მიზანი #4 „კვლევითი აქტივობების გაზრდა“, მიზანი #1.5 „მესამე მისიის განვითარება“, მიზანი #2 „ორგანიზაციული პოტენციალის ზრდა“) და ინტერნაციონალიზაციას (მიზანი #1.2 „“სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია“).

ეს გეგმა ემყარება მონაცემთა ანალიზსა და SWOT ანალიზს. სტრატეგიული გეგმა შევსებულია კვლევების სტრატეგიით. ინსტიტუციური სტრატეგიული გეგმა, ერთის მხრივ, შემუშავდა ფაკულტეტებსა და ცენტრალურ/ადმინისტრაციულ ერთეულებში და მეორეს მხრივ, დეტალურად გაიწერა სამოქმედო გეგმებში, მათ შორის ვალდებულებების, ვადებისა და ინდიკატორების მითითებით. ბევრი რაოდენობრივი ინდიკატორი დადგინდა უკანასკნელი სამი წლის ტენდენციების ანალიზის შედეგად. ეს პროცესი ბადებს ვარაუდს, რომ მიზნების მიღწევა შესაძლებელია. რესურსები, ასევე, მითითებულია, თუმცა ზოგჯერ ძალიან გლობალურ დონეზე. საჭირო რესურსების უფრო დაზუსტებით დაყოფა ქვე-მიზნების დონეზე მოგვცემდა უფრო დეტალურ ხედვას საჭირო რესურსებზე და მიძღვნილი იქნებოდა სტრატეგიული გეგმის სრულყოფილად განხორციელებისადმი.

სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება ძალიან ფართო თანამონაწილეობრივ პროცესს, რომელშიც ჩართულია სახვადასხვა შიდა (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი) და გარე დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, მრჩეველთა საბჭოები) კვლევების, ფოკუს ჯგუფების და დისკუსიების მეშვეობით რიგ საბჭოებზე (ფაკულტეტის და ინსტიტუციური დონეზე).

აკადემიური საბჭო უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელების საერთო მონიტორინგს. უფრო გლობალურად, გეგმის თითოეული ნაწილის განხორციელების ზედამხედველობას ახორციელებს ის ხელმძღვანელი ორგანო, რომელმაც დაამტკიცა იგი (მაგ. ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმას მონიტორინგს უტარებს ფაკულტეტის საბჭო). ყველა მონიტორინგის ჯგუფი ანგარიშს აბარებს შესაბამის საბჭოს. პროცესებზე თვალის მიდევნება წარმოებს რეგულარულად, სხვადასხვა დროს, ინსტიტუციურ დონეზე დამოკიდებულებით, თუმცა წელიწადში ერთხელ მაინც იხილება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ. ეს პროცესი და როგორ ხდება კორექტივების შეტანის გადაწყვეტილებების მიღება აღწერილია „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მიღების, ცვლილებების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესში“.

ზოგიერთ მიმდინარე ან სტრატეგიულ გეგმაში შეტანილ აქტივობას (მიზნები #1.5.1, #4.3.1) წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში (მაგ. უწყვეტი სწავლება, საჯარო ლექციები ან სამეცნიერო პიკნიკები). ზოგიერთი აქტივობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან (მაგ. ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი) და სოციალურ-ეკონომიკური მსოფლიო (მაგ. სეისმური აქტივობის მონიტორინგის ეროვნული ცენტრი), ისევე, როგორც გარე პარტნიორების მიერ განხორციელებული კვლევები (მაგ. ეკოლოგიის ინსტიტუტი).

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წწ.
- ფაკულტეტების სტრატეგიული გეგმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა
- ფაკულტეტების სამოქმედო გეგმები
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის კონცეფცია
- „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის

მიღების, ცვლილებების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესი“

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება (11.09.2013წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუები
- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები დეკანებთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, უფრო მეტად განავითარეთ სამოქმედო გეგმა, საჭირო რესურსების მეტი დეტალიზებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სტრატეგიული გეგმის შემუშავება უაღრესად თანამონაწილეობრივი გზით, მათ შორის ძირითადი და გარე დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას
- უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი.
- უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და შინაარსი შეხამებულია უნივერსიტეტის მიზნებთან, რომელიც განპირობებულია პროგრესული, განვითარებაზე ორიენტირებული განხორციელების შესაძლებლობით. კერძოდ, უნივერსიტეტის კომპონენტების მართვის პრინციპები, უფლებამოსილებათა დელეგირების ადეკვატურობა, ქვე-დანაყოფთა დელეგირების პრინციპები, არჩევნების პირობები და პროცედურები, პროფესორთა ატესტაციისა და შესაბამისი ტიტულის მინიჭების წესები, ქვე-დანაყოფთა აქტივობები, დაფინანსებისა და კონტროლის

პრინციპები, ორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ცვლილებების წესები და სხვ. მკაფიოდაა აღწერილი უნივერსიტეტის საბაზისო დოკუმენტებში და შეხამებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებთან.

უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში შერჩევისა და დანიშვნის წესები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის აქტივობები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ხორციელდება გამჭვირვალედ. შეინიშნება სამართლიანობა და თანასწორობა.

უნივერსიტეტის ქვედანაყოფების (რექტორის, ადმინისტრაციის, კვლევითი ინსტიტუტების, ფაკულტეტების და სკოლების სუბორდინაციის ქვეშ მყოფი) მიერ წარმოდგენილი დებულებები სწორად აღწერენ ფუნქციონალური, ადმინისტრაციული და ოპერატიული აქტივობების უზრუნველსაყოფად აუცილებელ პროცესებს და პროცედურებს, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის მიერ დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად. კერძოდ, არსებითადაა აღწერილი ქვედანაყოფების მიზნები, ამოცანები, სტრუქტურები და ფუნქციები, ვალდებულებები, სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები, სამსახურში დანიშვნასა და განთავისუფლებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვ.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები; სწავლის პროცესში აუცილებელი დოკუმენტაცია და მუდმივი სწავლის დასრულების შემდგომი კომუნიკაცია ადასტურებს ხსენებული ქვეჯგუფების კმაყოფილებას და ზრუნვას შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პოზიციონირების ხარისხზე, რაც სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, მისიასა და ხედვასთან.

პოზიტიური დამოკიდებულება და ფიქრი ინტერნაციონალიზაციის მუდმივ განვითარებაზე უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხრიდან საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში დადებულ საერთაშორისო მემორანდუმებში, შეთანხმებებსა და ხელშკრულებებში და ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმებში. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ გეგმაში მოცემული ინფორმაცია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს 500-მდე უნივერსიტეტთან; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ 150-ზე მეტ საერთაშორისო პროექტში კვლევებისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით; საერთაშორისო გრანტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა გასულ წლებში გადააჭარბა 30 მილიონ ლარს) მიანიშნებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის განსაკუთრებულ ყურადღებაზე აღნიშნული საკითხებისადმი, რაც თავის მხრივ, აჩვენებს უნივერსიტეტის მისწრაფებას შემდგომი განვითარებისადმი საერთაშორისო საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირებულებები, ხედვა, მისია. თავად დოკუმენტები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პოლიტიკა
- საქმისწარმოების წესი;ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვედანაყოფების დებულებები და სამოქმედო გეგმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სამოქმედო გეგმა 2018-2020წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციისათვის
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტები 2006 წლიდან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტობის გეგმა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიკაციისა და გაუქმების წესები და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- კილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციები მკვლევარების დასაქმების თაობაზე
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პოზიციებზე კონკურსის ჩატარების წესი და დასაქმების პირობები
- საერთაშორისო პროექტების მონაცემთა ბაზა

- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები
- კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები
- დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან, დეკანებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:
წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:
არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გლობალური ხარისხის კონცეფცია უდევს საფუძვლად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვას და წარმოადგენს სისტემის ძირითად კომპონენტს. ხარისხის ეს კონცეფცია შემუშავებულ იქნა სტრატეგიულ გეგმასთან ძალიან მჭიდრო კავშირში. ფაქტიურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ხარისხის ყველა პროცესი პირდაპირაა დაკავშირებულია სპაციფიკურ სტრატეგიულ მიზნებთან, ისევე, როგორც დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც სარგებელს იღებენ ამ პროცესების შედეგებიდან (მაგ. სტუდენტთა დასაქმების კვლევის შედეგები ეცნობება ფაკულტეტებს და სკოლებს, პროგრამების ხელმძღვანელებს, სტუდენტთა მომსახურებისა და შიდა აუდიტის სამსახურებს). ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გამიზნულია ხარისხის კულტურის განსავითარებლად ისეთი ღირებულებების საფუძველზე, როგორიცაა გამჭვირვალობა, გაზიარება, ჩართულობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. არსებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს ზოგიერთ მიზანს, რომლებიც წვლილს შეიტანენ ხარისხის სისტემის განვითარებაში (მაგ. # 1.1.3, 1.3.3, 2.1.1, 2.1.2, 2.1.3,2.2.1), რაც გამოხატავს ხელმძღვანელობის ნებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიმართ.

ხარისხის ეს კონცეფცია მოიცავს ბევრ პროცედურას და ინსტრუმენტს, რომლებიც ფარავენ უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციებს. სწავლებას და კვლევებს, ისევე, როგორც უნივერსიტეტის ერთეულების თუ პერსონალის აქტივობებს (რეკრუტირება, შეფასება). ანგარიშების მექანიზმები ინდივიდუალურ და ერთეულების დონეზე უზრუნველყოფს აქტივობებზე კარგ ზედამხედველობას. ხარისხის ყველა პროცესი სწორადაა დაგეგმილი წლის განმავლობაში, ხოლო ვალდებულებები მკაფიო და კარგად გასაგებია უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის. მიუხედავად ამისა, ხარისხის აქტივობების გლობალური ზედამხედველობა საჭიროებს გაღრმავებას. მართალია, აქტივობები და რესურსები მათი მხარდაჭერისათვის, როგორიცაა ტრენინგები, არსებობს ილიას უნივერსიტეტში, ისინი არაა ჩართული გლობალური ხარისხის კონცეფციაში, რომელიც არსებითად ორიენტირებულია სტრატეგიული გეგმის განხორციელებასა და PDCA ციკლზე. პროცედურათაგან ზოგიერთი ახალია ან განხორციელების ზღვარზეა და საჭიროებს დროს იმისათვის, რომ კარგად ჩაეწეროს ყოველდღიურ საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის თითოეული დონე / სტრუქტურა პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის განხორციელებისა და გაუმჯობესების ზომებზე, ცენტრალურ როლს თამაშობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც გააჩნია მონაცემთა (მაგ. სტუდენტთა მოსწრების შესახებ მონაცემები მოგროვებული უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა არგუსში), ან გამოხმაურებების (სტუდენტებისაგან, კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან) შეგროვების ძირითადი ვალდებულება . ისინი ამზადებენ ანგარიშებს შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორც ეს აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში. ისინი, ასევე, ჩართულნი არიან ინსტრუმენტების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში. ყოველ ფაკულტეტზე არის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი ოფიცერი. მათი როლი ძირითადად ფოკუსირებულია სწავლებაზე. ბევრი სისტემატურად გამოყენებადი პროცესი დაკავშირებულია სწავლებასთან და ფარავს სტუდენტთა სასიცოცხლო ციკლს ჩარიცხვიდან დასაქმებამდე. ტარდება რიგი კმაყოფილების კვლევებისა და ფოკუს ჯგუფები, რომლებიც მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ზოგიერთ ფაკულტეტზე შექმნილია მრჩეველთა საბჭოები, რომლებშიც შედიან დამსაქმებლები და გარე ექსპერტები, პროგრამების მიზნებთან შესატყვისობის გასაზრდელად.

როგორც ადგილზე ვიზიტისას ბევრი მონაწილის მიერ იქნა აღნიშნული, ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესი მხარდაჭერილია ეფექტიანი IT სისტემით. გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ ხარისხის აქტივობებისათვის არსებული რესურსები ადეკვატურია.

ადგილზე ვიზიტის განმავლობაში ჯგუფმა მაისმინა ბევრი მაგალითი გაუმჯობესებისა, რაც მოჰყვა სტუდენტებისაგან, კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან და აკადემიური პერსონალისაგან მიღებულ გამოხმაურებებს. ეს ეხებოდა ინსტრუმენტების ადაპტირებას (მაგ. კითხვარების), ინფრასტრუქტურას (მაგ. კაფეტერია) თუ სწავლებას (მაგ. უფრო მტკიცე კავშირების განვითარება სოციალურ-ეკონომიკურ სექტორთან). როგორც აღინიშნა, რეგულარულად ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და სტუდენტები იძლევიან ამ კვლევების შემდეგ განხორციელებული გაუმჯობესების მაგალითებს, თუმცა სტუდენტები არ იღებენ სისტემატურად კვლევის შედეგებზე გამოხმაურებებს. ცენტრალური/ადმინისტრაციული ერთეულების ანგარიშების შემდეგ გაუმჯობესების მაგალითები, ასევე, წარმოდგენილ იქნა ადგილზე ვიზიტის დროს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი. იგი აღწერილია პროცედურებში, რომლებშიც მითითებულია ზუსტი შეფარდება და კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის პროგრამებისათვის (საბაკალავრო თუ სამაგისტრო, დარგი, სწავლების მეთოდები და სხვ.). ესენია შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის ანგარიშის I-II ნაწილები.
- ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების რეგულაციები
- დამხმარე პერსონალის სამუშაოზე აყვანის რეგულაციები
- მკვლევართა სამსახურში აყვანის რეგულაციები
- აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების რეგულაციები
- კვლევითი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების რეგულაციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პოზიციებზე კონკურსის ჩატარების წესი და დასაქმების პირობები
- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის შეფასებისა და დაფინანსების რეგულაციები
- ანგარიშების შენახვის წესები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ინტერვიუ ცენტრალურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფიცრებთან
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები
- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები დეკანებთან
- ინტერვიუები პროგრამების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

ჩამოაყალიბეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ის ხარისხის სისტემის სისტემური ხედვა, მათ შორის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რესურსებითა და აქტივობებით (როგორიცაა ტრენინგები). ფაკულტეტის დონეზე ხარისხის კულტურის განვითარების ხელშესაწყობად გააფართოვეთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის პასუხისმგებლობის ფარგლები (ამჟამად ძირითადად ფოკუსირებულია პროგრამებზე). მოახდინეთ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებზე უკუკავშირის სისტემატიზება, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას, გამოკითხვებში სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდას და მათგან უფრო უკეთ ფორმულირებული პასუხების მიღებას. მი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციისა და ინსტრუმენტების მტკიცე კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან

შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
o უსდ-ს შემუშავებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. ასეთი რეგულაციები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

- დაწესებულებას განხორციელებული აქვს პლაგიატის დადგენისა და მისი პრევენციის მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი უაღრესად თანამონაწილეობრივი გზით, მათ შორის სტუდენტების მონაწილეობით, რომელიც განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების მიერ. თანამონაწილეობრივი პროცესი ზრდის წესების მიმართ მიკუთვნებულობის განცდას.

კოდექსი მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას უფლებებსა და ეთიკურ ქცევაზე უნივერსიტეტში, ისევე, როგორც აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე, რაც ასევე, უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებაა. აკადემიურ თავილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიფლებას უკავია ცენტრალური პოზიცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ეთიკის კოდექსში და ხშირად არის მოხსენიებული აკადემიური და სხვა პერსონალის მიერ ინტერვიუებზე, როგორც უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულება.

დოკუმენტი განსაზღვრავს პროცედურებს წესის დარღვევის შემთხვევაში. ეთიკის კომიტეტი განიხილავს ამასთან დაკავშირებულ საკითხებს. პუბლიკაციებში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააფართოვა პლაგიატის გამოსავლენი ელექტრონული ინსტრუმენტის (Turnitin) გამოყენების არეალი.

კოდექსის გასავრცელებლად რამოდენიმე საშუალება და არხი იქნა გამოყენებული. იგი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე და სასწავლო პლატფორმებზე. მას აცნობენ ახლადმოსულებს, მათ შორის ახალ სტუდენტებს გაცნობის დღეებში. კოდექსი წარმოადგენს სტუდენტთან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რომელსაც აფორმებენ სწავლის დაწყებისას და ასევე, არის კონტრაქტის ნაწილი, რომელიც ფორმდება ყველა თანამშრომელთან.

ვიზიტის განმავლობაში ყველა რესპონდენტი სრულად იყო გაცნობიერებული ეთიკის კოდექსისა და მისი ძირითადი შინაარსის, ისევე, როგორც Turnitin-ით სარგებლობის თაობაზე.

უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური აღნიშნავს არაეთიკური საქციელის ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების რამოდენიმე შემთხვევას (იურიდიული სამსახურის ანგარიშის შესაბამისად - 19 შემთხვევა 2017 წელს).

ხელმძღვანელობის სერიოზული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ასევე, ილუსტრირებულია ილიას უნივერსიტეტის მაკოორდინირებელი როლით Erasmus+ პროგრამის „INTEGRITY" (2017).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ღირებულებები და ხედვა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი (5.09.2011წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ეთიკის კოდექსი სტუდენტებისათვის (16.10.2015წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2017წ.)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს დამსაქმებელთა პროგრამის შეფასების მექანიზმი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური)
- სტუ-ს თვითშფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუები დოქტორანტებთან
- ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუები იურიდიულ სამსახურთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროაქტივობა ეთიკის საკითხების მიმართ და დახმარება აკადემიურ პატიოსნებაში, კერძოდ პლაგიატის თავიდან აცილების ინსტრუმენტების შემოღება (Turnitin)

შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

დაწესებულებას აქვს პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, დამტკიცების, შემუშავებისა და გაუქმებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ცხადად არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
• უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს (საკუთარი მისიის შესაბამისად) შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის და შემუშავების პოლიტიკა და დეტალური მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება სხვადასხვა სფეროების სტუდენტთა ინტერესებს. იგი ხელმძღვანელობს რეგულაციებით, როგორიცაა: ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები; ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; და გ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის და შემუშავების მთელი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპებს, შრომის ბაზარზე ორიენტირებულ კურიკულუმს, კურიკულუმში უახლესი ტენდენციების ინკორპორირებას და პროგრამების მრავალმხრივ შეფასებას ხარისხის სასურველი დონის მისაღწევად.

ამას მივყავართ პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, როგორებიცაა დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (თუ ასეთები არიან) და აკადემიური პერსონალი (ფაკულტეტი), ისევე, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის (სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი, კურიკულუმის ექსპერტი და სხვ.) აქტიურ და არსებით ჩართულობასთან. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა პროგრამის დაგეგმვის, დიზაინის და შემუშავების ეტაპებზე უზრუნველყოფს მოცემული პროგრამის თანამედროვეობას და ბაზარზე ორიენტირულობას. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფას, შემოღებულია რეგულარული თვითშეფასების პრაქტიკა. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოვლინდა, მიმდინარე პროგრამების შემთხვევაში, ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწვდის გამოხმაურებას პროგრამის ხელმძღვანელსა და გუნდს, რომლებიც თავის მხრივ, აგროვებენ საკუთარ მონაცემებს სტუდენტებისაგან და ანგარიშს აბარებენ დეკანს მოცემული პროგრამის რაიმე მოდიფიცირების, გაუმჯობესების ან ცვლილების საჭიროების თაობაზე. შემდეგ, სკოლა ანგარიშს აბარებს ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურს.

როგორც ხშირად აღინიშნებოდა ადგილზე ვიზიტის პერიოდში, ისევე დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციითა და თვითშეფასების ფორმით. უსდ ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებსა და გამოხმაურებას მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინის, განხორციელების, განვითარების და გაუქმების პროცესში. კერძოდ, შექმნის, შემუშავებისა და შეფასების პროცესში გარე მოთამაშეთა სისტემატიზაციისა და თანამშრომლობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, უმეტეს სკოლებში შექმნილია მრჩეველთა საბჭოები. ეს საბჭოები შედგება შესაბამისი სფეროს ექსპერტებისა და საერთაშორისო ინსტიტუციების წარმომადგენლებისაგან, რომელთა ფუნქციები და ვალდებულებები გათვალისწინებულია შესაბამის დებულებებში. დღეისათვის ასეთი მრჩეველთა საბჭოები ფუნქციონირებენ ბიზნესის, სამართლის და საინჟინრო სფეროებში. უსდ გეგმავს მრჩეველთა საბჭოების შექმნას ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში გაერთიანებული სფეროებისათვისაც.

ვინაიდან უსდ მოიცავს ათეულზე მეტ კვლევით ინსტიტუტს სხვადასხვა სფეროებში, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამების შემუშავების პროცესში. თითოეული პროგრამა, სფეროს გათვალისწინებით, იქმნება ,შესაბამის კვლევით ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობით, როგორებიცაა მაგალითად, ბოტანიკის ინსტიტუტი, აბასთუმნის ობსერვატორია და სხვ.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული (დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები), ისევე, როგორც აკადემიური პერსონალი (პროფესორები, მოწვეული ლექტორები) აღნიშნავეს, რომ უნივერსიტეტის გახსნილობა ახალი პროგრამების შემუშავების მიმართ წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას.

თუ შემოთავაზებული პროგრამა შეესატყვისება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, სწორად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კრიტერიუმს (საგანმანათლებლო პროგრამის შფასების კრიტერიუმებს) და გააჩნია გონივრული და ხელმისაწვდომი ბიუჯეტი, მას შეუძლია გააგრძელოს ახალი პროგრამის შექმნის ფორმალური პროცედურები, როგორც ეს აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესებსა და პროცედურებში და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესში. უნდა აღინიშნოს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს მისი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფას პროგრამის შემქმნელებსა და საბიუჯეტო ოფისს შორის მჭიდრო თანამშრომლობით.

უსდ ცდილობს მიიღოს გამოხმაურება ყველა დაინტერესებული მხარისაგან და დანერგოს სტუდენტებისაგან, დამსაქმებლებისაგან, კურსდამთავრებულებისაგან, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისაგან შემოთავაზებული ყველა შესაძლო საუკეთესო გამოცდილება. უფრო ზუსტად, იგი ცდილობს იყოს მუდმივად ცვალებადი გარემოს რელევანტური და მოახდინოს თავისი აქტივობების ადაპტაცია: ა) საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, უსდ იყენებს სისტემის შეფასების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიერ მოწოდებულ მონაცემებს, გარე შეფასებებს, სტუდენტებისაგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ გამოხმაურებებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და პროგრამით კმაყოფილებისკვლევებს; თუმცა, როდესაც საქმე მიდის ბ) გაუქმებასთან, უსდ ეყრდნობა სუსტ მხარეებსა და რისკ-ფაქტორებზე პროგრამის განხორციელების შეფასების ინფორმაციას, მაგალითად, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების არარსებობას, პროგრამით სტუდენტთა დაინტერსების არარსებობას ბაზრის მოთხოვნების გამო, სტუდენტთა და კურსდამტავრებულთა კვლევის შედეგებს და თანამშრომლობის გაწყვეტას პროგრამის დამხმარე გარე პარტნიორებთან.

პროგრამების დაგეგმვის, შექმნისა და შემუშავების პროცედურები ეყრდნობა "PDCA" პრინციპს. კერძოდ, გეგმის შეფასების კრიტერიუმები გამოიყენება დაგეგმვის (PLAN) ეტაპზე და პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესებსა და პროცედურებში. განხორციელების ეტაპზე (DO), მოცემული შედეგების შესაფასებლად (Check) გამოიყენება პერიოდული თვითშეფასების ანგარიშები, რომლებიც მოიცავს მრავანაირ ინდიკატორს, მათ შორის სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოხმაურებებს.

თუ გაუქმებულ პროგრამაზე არიან აქტიური სტუდენტები, მაშინ უსდ ოპერირებს „შეცვლილ ან მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლების აღიარების წესით“ და უზრუნველყოფს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად დასრულებით და რელევენტური კვალიფიკაციის მიღებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები
- მიღებული განათლების აღიარება სასწავლო პროგრამის შეცვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის ანგარიში
- კურსდამთავრებულთა მოსაზრებათა კვლევის ანგარიში
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემთა უწყისები
- მრჩეველთა საბჭოს დებულებები
- გასაუბრებები დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურთან და ფაკულტეტების დონეზე წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამების შემუშავების მკაფიო და გამოყენებადი პროცედურები. გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში. შემუშავებაში. მდგრადობისა და ხარჯების ეფექტურობის უზრუნველყოფა საბიუჯეტო ოფისთან თანამშრომლობით.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იცავს მოქმედ კანონმდებლობასა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვებისა ევროპული სისტემის (ECTS) მოთხოვნებს, როცა ქმნის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შეესატყვისება უნივერსიტეტის მისიას. აქედან გამომდინარე, პროგრამების სწავლის შედეგები ნათლადაა ფორმულირებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურზე მინიჭებულ კვალიფიკაციასთან.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლის სფეროს, ეფუძნება სფეროს მახასიათებლებს და განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ექვსი კრიტერიუმით (სწავლა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარები, სწავლის უნარი, ღირებულებები).

კომპონენტთა თანამიმდევრობა პროგრამაში და მათთან დაშვების წინაპირობები ლოგიკურია; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებს, გათვალისწინებულს საშუალო აკადემიური სტუდენტის მიღწევებით გონივრულ დროში. გარდა ამისა, უსდ-ს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა სეიცავს არჩევით კომპონენტებს.

პროგრამის მოცულობა, გამოხატული ECTS კრედიტებით განისაზღვრება მისი შინაარსით, სწავლის შედეგებით და მოცემული სფეროს სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

კომპონენტებში სტუდენტთა დატვირთვის ეფექტიანობის განსასაზღვრად ტარდება რეგულარული სტუდენტთა გამოკითხვები მათი დატვირთვის რელევანტურობის თაობაზე „არგუსის“ მეშვეობით. იგი ავტომატურად ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ინდიკატორების გენერირებას. მონაცემები ხელმისაწვდომია კურსის ინსტრუქტორისათვის და საშუალებას აძლევს მას გააუმჯობესოს და/ან განავითაროს კურსი ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მათ შორის გააუმჯობესოს სტუდენტთა დატვირთვა. მაგალითად, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, ზემოხსენებული გამოხმაურებების შედეგად რიგი კურსების შინაარსი იქნა მოდიფიცირებული მეტი პრაქტიკის საათების ინკორპორირებით (მაგ. განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში). მეორე მაგალითი შემოთავაზებულიქნა სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის მიერ, რომელშიც სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოხმაურებების ყურადღებით განხილვის შემდეგ შეტანილ იქნა პრაქტიკაზე დაფუძნებული ცალკე მოდული.

ECTS კრედიტების გამოყენება პროგრამაში შეესაბამება კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ რეგულირებებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტანდარტებს და რეგულირებებს და ECTS-ს სახელმძღვანელო მითითებებს.

პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს. როგორც თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრებები აჩვენებს, კონკრეტულ პროგრამაში ჩამოთვლილი სწავლის მეთოდები შეესაბამება მის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, ისინი ითვალისწინებენ სფეროს სპეციფიკას და უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას; თუმცა, შერჩევით აღებული სილაბუსების ყურადღებით შესწავლამ გამოავლინა, რომ ეს ყოველთვის ასე არაა. უფრო ზუსტად, შერჩეული სწავლების მეთოდები არ შეესაბამება პროგრამაში/კურსებში აღწერილ სწავლის შედეგებს.

ფაკულტეტები და სკოლები რეგულარულად ანახლებენ ინფორმაციას მათი პროგრამების შესახებ და აქვეყნებენ უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. გარდა ამისა, პროგრამების კატალოგი იძლევა მოკლე ინფორმაციას პროგრამების შესახებ და შესაბამის საკონტაქტო დეტალებს, რაც ასევე, ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს მიერ შეთავაზებული კურიკულუმები მოიცავს სტუდენტების მოთხოვნებს, აკადემიურ სწავლას და განსაკუთრებულ საგამანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმებს, სწავლის შესაბამის ფორმებსა და პირობებს. უსდ იყენებს პროგრამების მოდულურ დაგეგმვას, უზრუნველყოფს მრავალფეროვან კურიკულუმებს და სთავაზობს ექსკლუზიურ პროგრამებს. აქაა რამოდენიმე ილუსტრაცია: ა) ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ინსტრუქტორებთან შეიძლება დაინიშნოს სამუშაო საათებში ან სტუდენტის პირადი თხოვნით, „არგუსის“ ან კორპორატიული ფოსტის მეშვეობით; ბ) უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი ემსახურება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. იგი ამლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, რომ დარეგისტრირდნენ ონლაინ სპეციალური ინდივიდუალური ტუტორინგის სესიებზე ან წერითი დავალების ონლაინ გამოხმაურების მიღებაზე.

სპაციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური კურიკულუმის შემუშავება დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან ადაპტირებულ გარემოსთან და თუ აუცილებელია - სპაციალური ადამიანური რესურსების გამოყოფასთან მათთვის. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - "ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“ ჩართულია ინდივიდუალური კურიკულუმების შემუშავებაში განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. ინდივიდუალური კურიკულუმები შესაძლოა ასევე შეიქმნას, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეიცვალა ან გაუქმდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და შეწყვეტის წესები და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტანდარტები
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო და დოქტორანტურის დებულება
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტანდარტები
- აკადემიური კალენდარი
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათის სწავლია გადასახადის გადახდის, ცრედიტების მინიჭების, დამატებითი რეიტინგების და კურსების/კომპონენტების განმეორებით გავლის წესების განსაზღვრა
- პროგრამების დასრულების მონიტორინგი დადგენილ ვადებში და გარიცხვის კოეფიციენტი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- სტუდენტთა დახმარების სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში და სასწავლო კურსის შეფასების მექანიზმი
- გასაუბრებები დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურთან და ფაკულტეტების დონეზე წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლებთან.
- დაცული სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მიმოხილვა ადგილზე ვიზიტისას.

რეკომენდაციები:

გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და შინაარსი, სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე მეტი აქცენტირებით (პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიაზე მეტი აქცენტით) დამყარდეს უფრო მკაფიო კავშირი სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.

რჩევები:

.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს ექსკლუზიურ პროგრამებს, რომლებიც არ გვხვდება საქართველოს არც ერთ სხვა უსდ-ში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე კურიკულუმების მრავალფეროვნება, ზოგიერთი მათგანის მჭიდრო კავშირით კვლევით ინსტიტუტებთან.
- პროგრამების მოდულური დაგეგმვა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს გააჩნია მკაფიო ინსტრუქციები თითოეული საგანამანათლებლო პროგრამის ყოველ სილაბუსში ინკორპორირებული სწავლის შედეგების შეფასების სიტემის შესაქმნელად. უსდ-ს შეფასების სისტემა ნათლადაა აღწერილი და წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლის წესი“-სა და „სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასების, კრედიტების შეფასების, რეიტინგისა და დამატებითი/განმეორებითი/კომპონენტის საფასურის გადახდის წესები განსაზღვრის შესახებ“ შესაბამისად. იგი დეტალურად აღწერს შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებს და კრიტერიუმებს სტუდენტთა აქტივობის შესაფასებლად და როგორც განცხადებულია თვითშეფასების ანგარიშში, ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, თანაც საშუალებას აძლევს ინსტრუქტორს თვალი მიადევნოს სტუდენტის პროგრესსა და მოსწრებას.

უსდ სარგებლობს 100 ქულიანი სისტემით თითოეული კურსისათვის, რაც განაწილებულია არანაკლებ სამი განსხვავებული კომპონენტის მიხედვით (შუალედური შეფასებები და ერთი სავალდებულო საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 30 ქულით), მინიმალური მოთხოვნების მკაფიოდ განსაზღვრული ზღვარით. გარდა ამისა, თითოეული სილაბუსი დეტალურად იძლევა სტუდენტთა აქტივობების შეფასების კრიტერიუმებს (მეთოდებს და შეფასების კრიტერიუმებს). თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები შესაძლებელია იყოს ტესტი, ესსე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, აუდიო-ვიზუალური ნამუშევრის პრეზენტაცია, მონაწილეობა წარმოდგენაში, კონცერტში, ქეისის ამოხსნა, მონაწილეობა იმიტირებულ სასამართლო პროცესში და სხვ. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შეფასების თითოეული ზემოაღნიშნული კომპონენტისათვის და აცნობებს სტუდენტებს მათი სწავლის შედეგების, შეცდომების და გაუმჯობესების გზების შესახებ; თუმცა, წარმოდგენილმა რელევანტურმა დოკუმენტაციამ, ისევე, როგორც ადგილზე გასაუბრებებმა ვერ დააზუსტა სტაჟირებისა და პრაქტიკის კომპონენტების მონიტორინგის ზუსტი მექანიზმები და/ან მეთოდები და ამ კომპონენტებში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კრიტერიუმები.

უსდ ოპერირებს ყველა სტუდენტის შეფასების თანაბარიდა სამართლიანი სისტემით, ისევე, როგორც გასაჩივრების დეტალური მექანიზმით, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას რომ მიმართოს შესაბამის ფაკულტეტსა თუ სკოლას საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შექმნას სააპელაციო კომისია და დაიწყოს შესაბამისი პროცედურები.

სილაბუსების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემა „არგუსში“ რათა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება კურსების კომპონენტების შეფასების სისტემით განსაზღვრულ მოთხოვნებზე და ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის აკადემიური წლის/სემესტრის დაწყებამდე. გარდა ამისა, შეფასების კრიტერიუმებთან, პროცედურებთან და თარიღებთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტებს ინსტრუქტორების მიერ სიტყვიერად თითოეული კურსის დასაწყისში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოანგარიშების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- სილაბუსები/პროგრამის აღწერილობა
- ადგილზე გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

მოხდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის კომპონენტების მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების დაზუსტება და მკაფიო დეტალიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს.

რჩევები:

ზოგიერთ პროგრამაში შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების გაზრდა. დარწმუნება იმაში, რომ სამაგისტრო ნაშრომებისადმი მოთხოვნები ყოველთვის შესაბამისობაშია სწავლის ამ დონის აკადემიურ მოლოდინებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას, მისიასა და ხედვას.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ახალმოსულ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესის დაჩქარების პროგრამის შესამუშავებლად საჭირო დოკუმენტები - „სამუშაო გარემოს მომზადების პროცედურა ახალი თანამშრომლებისათვის და მათთვის შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის პროცედურები“ და „ახალი თანამშრომლის გზამკვლევი“, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის დაჩქარების პროცესს ახალ სამუშაო გარემოში, ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღებას, კორპორატიული კულტურის ელემენტების, ხელფასის, ბონუსებისა და სარგებლის, დაკისრებული ვალდებულებების გაცნობას. აღნიშნული დოკუმენტები ქმნიან ორგანიზაციისადმი ახალი თანამშრომლის ლოიალობის საფუძველს, ორგანიზაციული კულტურის მიმართ პატივისცემას, პოზიტიურ დამოკიდებულებას და ეხმარებიან დასაქმებულს უნარების გამოვლენასა და გამოყენებაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რეკრუტირების წესები განსხვავებულია. კერძოდ, წარმოდგენილია აკადემიური და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და მკვლევარების რეკრუტირების წესები. ძირითადად, პერსონალი შერჩეულია ღია პროცედურით - გამონაკლისია მკვლევარები და მასწავლებლები. თანამშრომელი შეიძლება დაინიშნოს აღნიშნულ პოზიციებზე რეკომენდაციების (დეკანის, კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის) საფუძველზე, კანდიდატის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების ანალიზის შედეგად. მასწავლებლის რეკრუტირებისას, მისი პროფესიულ და აკადემიურ სფეროში გამოცდილებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მოცემულ შემთხვევაში პროფესიულ და აკადემიურ სფეროში გამოცდილების ხანგრძლივობა არაა განსაზღვრული, რაც საეჭვოს ხდის მასწავლებლის კვალიფიციურობის განსაზღვრის სიზუსტეს; უფრო მეტიც, დოკუმენტში „მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, როდესაც მასწავლებელი წარდგენილია დეკანის მიერ, ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილების არმქონე კანდიდატის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი უნდა გაესაუბროს მას პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის თანდასწრებით“. ზემოაღნიშნული გამორიცხავს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ჩართულობას რეკრუტირებასა და შერჩევის პროცესში. იგივე დადასტურდა გასაუბრებაში დეკანებთან. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის პასიური მონაწილეობა პერსონალის შერჩევის პროცესში სავარაუდოდ გამოწვეულია HR დეპარტამენტის თანამშრომელთა მცირე რაოდენობით - მხოლოდ 8. დეპარტამენტი კი ემსახურება 2,732 თანამშრომელს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უნივერსიტეტის HR სტრატეგიის სრულად განხორციელების მიზნით, HR დეპარტამენტში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს.

დოკუმენტში „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები“ მოცემულია ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების, შესაბამისი საკონკურსო პირობებისა და პროცესების, აკადემიურ პოზიციებზე რეკრუტირების, შრომითი ხელშეკრულებების სახეების, აკადემიური პერსონალის დატვირთვის, დასაქმების პირობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევას და შერჩევის გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურას.

შერჩევის პროცესის საუკეთესოდჩასატარებლად, თანამდებობრივი ინსტრუქციები არის მნიშვნელოვანი. აღნიშნული დოკუმენტი სახელწოდებით „სამუშაოს ანალიზის დოკუმენტი (თანამდებობრივი ინსტრუქცია)“ არ მოიცავს სამუშაოს ანალიზის ძირითად ინდიკატორებს. გარდა ამისა, ზოგიერთი პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია სრულად არ მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (ძალიან ხშირად დოკუმენტში მოცემულია ცოდნასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მაგრამ არ არის განსაზღვრული საჭირო უნარები,, გამოცდილება და ა.შ. მაგალითად „ადმინისტრაციის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი“).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური და კვლევითი პერსონალის საქმიანობის შეფასების წესები“ ქმნის საფუძველს მოცემული ჯგუფის შეფასების განხორციელებისთვის, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი შეფასების მეთოდითებითა და კრიტერიუმებით.

„სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მუხლი 4.4-ის შესაბამისად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის, რომელიც ჩართულია სწავლების პროცესში „ფაკულტეტის, სკოლის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, ამ მუხლით ჩამოყალებებული შეფასების ინსტრუმენტების გარდა შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა ინსტრუმენტები და მექანიზმები..

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის შესრულების შეფასების წესში შეფასების მიზანი კარგადა არის განსაზღვრული. გარდა ამისა, აღნიშნული შეფასების მეთოდების მიხედვით, რომელიც მოცემულია პარაგრაფ „ა“-ში; „ა) თითოეული თანამშრომელი უნდა შეფასდეს კომპეტენციების მიხედვით და მისი ფუნქცია-მოვალეობები მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის“, თუმცა შეფასებას თან არ ახლავს კომპეტენციების რუკა.

უნდა აღინიშნოს, რომ HR დეპარტამენტმა წარმოადგინა ზოგიერთი მიმართულებისთვის შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI, რაც, რა თქმა უნდა, არის დადებითი ფაქტი).

უნივერსიტეტის თანამშრომელთა მოტივაციის, ტრენინგის და განვითარების ნაწილს, საერთო ჯამში, აქვს პოზიტიური ტენდენცია, თუმცა უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნებოდა თუ გაღებული ხარჯები, დრო და ენერგია უფრო მიზნობრივად დაიხარჯებოდა პოზიციისთვის შესაბამის აქტივობებსა და შედეგებზე. კერძოდ, სამთვიანი ტრენინგი უცხო ენაში ვერ იქნებოდა ეფექტური დამწყებებისათვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს თანამშრომელთა სურვილებს.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში პერსონალის პოლიტიკა ხორციელდება დამაკმაყოფილებლად და უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში - შეესაბამება მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პერსონალის მართვის პროცესებისა და პროცედურების სრულყოფა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა აშკარაა. ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიული გეგმა ქმნის საფუძველს ზემოხსენებულისათვის, მაშასადამე, მიმართულია უფრო მაღალი დონის განვითარებისა და გაუმჯობესებისაკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- პერსონალის დასაქმების წესები
- შიდა ბრძანება
- ახალი თანამშრომლების გზამკვლევი
- ეთიკის კოდექსი
- შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება
- პერსონალის შრომის ანაზღაურება და ბონუსები, ასევე, სოციალური მონეტარული

დახმარება უნივერსიტეტის პერსონალს

- სამუშაოს ანალიზის დოკუმენტი (სამუშაოს აღწერილობა)
- გამოცხადებული კონკურსები
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კვლევების ანგარიშები
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშებიშრომითი კონტრაქტის ნიმუშები
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები პერსონალის სტატისტიკური ინდიცატორები (იხილე თვითშეფასების ფორმისცხრილები)
- გაცვლითი პროგრამები
- საერთაშორისო პროექტების ბაზასაერთაშორისო პროექტების დაფუძნებული ბაზა
- კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან, დეკანებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუები
- გასაუბრება სტუდენტებთან.
- გასაუბრება კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად და საერთაშორისო პრაქტიკების თანახმად, უნდა გაიზადოს HR დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა.

გაუმჯობესდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა ყველა პოზიციისათვის;

გაუმჯობესდეს ტრენინგებისა და განვითარების პროგრამები შემდგომი შეფასებისა და პოზიციის საჭიროებების საფუძველზე.

რჩევები:

სასურველია, რომ არსებობდეს ერთიანი აპლიკაციის ფორმა ყველა თანამშრომლისათვის, ეს უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ჩანაწერთა შენახვის პროგრამისათვის და გააუმჯობესებდა HR მენეჯმენტის დეპარტამენტის საქმიანობასა და დროის მენეჯმენტს.

ვიანიდან 2018 წლის 1 ოქტომბერი წარმოადგენს შესრულების შეფასების სისტემის ეფექტიანობის ვადას, უკეთესი იქნებოდა გამოყენებულ ყოფილიყო განსხვავებული მეთოდები განსხვავებული პოზიციებისათვის (მაგალითად 720 და 360 გრადუსი, მიზანზე ორიენტირებულობა, შეფასება კომპეტენციების მიხედვით (მოცემულ შემთხვევაში კომპეტენციების რუკის შემუშავება იქნება აუცილებელი) და სხვა მეთოდები).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მთელი სამუშაო განმარტავს „თამაშის წესებს“,

აკადემიური პერსონალის აფილირება

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამების, განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი/აღმასრულებელი აქტივობების და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი/აღმასრულებელი აქტივობების და

მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვების ადეკვატურობა მტკიცდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვების სქემით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, 16-18 საათიანი (დატვირთვა) კვირაში (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის დონეზე - ჩხეტია ნინოს - დატვირთვა: 18 საათი კვირაში; ლომინაშვილი ქეთევანი და ვაჩეიშვილი ნათია - დატვირთვები: 16 საათი კვირაში; ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი - მაქარაშვილი ქეთევანი - დატვირთვა: 16.7 საათი კვირაში) ქმნის საფრთხეს შესრულების ხარისხის დონისათვის ან არღვევს თანამშრომლის სამუშაო და დასვენების საათების ბალანსს.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის პროდუქტისა და მომსახურებების მიმღები ჯგუფების კმაყოფილების კვლევის შედეგედ, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობით მათში დაინტერესებული მხარეები კმაყოფილნი არიან, რაც აჩვენებს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის რელევანტურობას დატვირთვის პოლიტიკასთან. მოწვეული პერსონალის შესრულების შეფასების პროცედურა საჭიროებს გარკვეულ სრულყოფას.

უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია განიხილავს სტუდენტთა არსებული და მისაღები რაოდენობის ოპტიმიზაციას, პროგრამების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით აკადემიური და მოწვეული პერსონილის რაოდენობასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია - აკადემიურ და კვლევით პროცესებში საერთაშორისო პროფესიონალების მაღალი დონით ჩართულობა დადასტურებულია საერთაშორისო პროექტებით და მიუთითებს საერთაშორისო კვალიფიციური სპეციალისტების მაღალი დონის ჩართულობაზე და შესაბამისად, უნივერსიტეტის პროგრესულ განვითარებაზე ორიენტირებულ ძირითად აქტივობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- აკადემიური, მოწვეული პერსონალის და მკვლევსრების შეფასების წესები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სემესტრული სქემა
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამების და სტუდენტების რაოდენობასთან (იხილე თვითშეფასების ანგარიშის ცხრილები)
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სრულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან (იხილე თვითშეფასების ანგარიშის ცხრილები)
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან (იხილე თვითშეფასების ანგარიშის ცხრილები)
- სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევების შედეგები
- საერთაშორისო პროექტების ბაზა
- კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან, დეკანებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- გასაუბრება კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განიხილავს აკადემიური პერსონალის დატვირთვების შემცირებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, განათლების აღიარების, ისევე როგორც სწავლის გადასახადის გადახდის წესები და თითოეული საგანმანათლებლო დონის აკადემიური სტანდარტები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე: **www.iliauni.edu.ge.** კონტრაქტების ნიმუშები BA/MA/PhD სტუდენტებთან იძლევიან დეტალურ ინფორმაციას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, მათ შორის სწავლის გადასახადსა და გადახდის პროცედურებზე. კრედიტების მინიჭების რეგულირების ცვლილებების დოკუმენტის 9[3] -ის თანახმად (4.07.2017), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შუალედური/საბოლოო შეფასების შედეგები ფაკულტეტის ან სკოლის ადმინისტრაციის მეშვეობით. სტუდენტთა მიერ გასაჩივრების უფლება დაფიქსირებულია BA/MA/PhD სტუდენტთა კონტრაქტების ნიმუშებში. კონტრატები მოიცავს დაწვრილებით ინფორმაციას სტუდენტთა ვალდებულებებისა და ეთიკის კოდექსის თაობაზე. არსებობს რამოდენიმე მექანიზმი სტუდენტის მიერ მათი საჩივრების/აპელაციის წარდგენისა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისადმი. „არგუსის“ აპლიკაციის სისტემა, რომელშიც მიმართვის პროცესის მონიტორინგი შეუძლიათ თავად სტუდენტებს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ოფიციალური ელ-ფოსტა (student.affairs@iliauni.edu.ge) და ცხელი ხაზის ნომერი (032 2 22 32 43), რომლიდანაც ზარის მიმღები გადაამისამართებს საჩივარს/კითხვას სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია ინფორმაციის მსვლელობის მიცემაზე და (საჭიროების შემთხვევაში) განმცხადებელი სტუდენტისადმი გამოხმაურების მიწოდებაზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემუშავებული აქვს გზამკვლევი პირველკურსელი სტუდენტებისათვის, რათა უზრუნველყონ ისინი არსებითი ინფორმაციით უნივერსიტეტის მისიაზე და ღირებულებებზე, ინფრასტრუქტირაზე, სწავლება/სწავლის პროცესებზე, სტუდენტთა მოვალეობებსა და უფლებებზე, სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისებზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე და სხვ. გარდა ამისა, სწავლის დაწყებამდე ორგანიზებულია სავალდებულო შეხვედრები პირველკურსელ სტუდენტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- შიდა რეგულაციის დოკუმენტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დეპარტამენტების დებულებები
- სტუდენტის კონტრაქტი samples .,www.iliauni.edu.ge
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- უსდ-ს გააჩნია სტუდენტთა კონსულტაციის მომსახურებები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად
- უსდ-ს გააჩნია კარიერის მხარადჭერის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციით და მხარს უჭერს მათ დასაქმებასა და კარიერულ ზრდას.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის დონეზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ს გააჩნია დაბალი სოციალური ფენის სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითად ქვე-სტრუქტურას, რომელიც პასუხისმგებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტებისათვის კონსულტაციების და კარიერული დახმარების სერვისების მიწოდებაზე. დეპარტამენტის ფუნქციები და ვალდებულებები განსაზღვრულია მისი განცალკევებული დებულებით. სტუდენტების მიერ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტთან ხშირად გამოყენებული საკომუნიკაციო არხები შემდეგია: საკონსულტაციო შეხვედრები პირისპირ სამუშაო საათებში; ოფიციალური ელ-მისამართი student.affairs@iliauni.edu.ge (მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით), ოფიციალური ფაისბუკის გვერდი, Q&A Facebook გვერდი, სისტემა „არგუსი“ და სატელეფონო ცხელი ხაზი (032 2223243), რომელიც მუშაობს ყოველდღე 10:00 დან 22:00 საათამდე კვირის გარდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ში ცხელი ხაზი განსაკუთრებით გამოიყენება სწავლებისა და სწავლის პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების რეგისტრაციისათვის.

ელექტრონული სისტემა „არგუსი“ უზრუნველყოფს სტუდენტებს მთელი სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებისა და მონიტორინგის შესაძლებლობით. „არგუსის“ მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო კურსების სილაბუსებს და ცხრილებს, შეუძლიათ აირჩიონ შესაბამისი სასწავლო კურსები, ნახონ შუალედური და საბოლოო შეფასების შედეგები, კრედიტები და უშუალოდ დაუკავშირდნენ ლექტორებს/პროგრამის ხელმძღვანელებს.

ზემოაღნიშნული არხების მეშვეობით სტუდენტურ საქმეთა სამსახური უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ინფორმაციით უნივერსიტეტში არსებულ გაცვლით პროგრამებზე, სტაჟირების შესაძლებლობებსა და სამუშაო ვაკანსიებზე, დაგეგმილ კონკურსებსა და უნივერსიტეტში განსახორციელებელ სხვა აქტივობებზე/ღონისძიებებზე.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ხელს უწყობს და მხარს უჭერს სტუდენტთა მიერ ინიციირებულ პროექტებს, უტარებს მათ კონსულტაციებს წინადადებების მომზადების პროცესში, აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს პირველკურსელთათვის, ორგანიზებას უკეთებს სტუდენტურ კლუბებს, საზაფხულო/საზამთრო სკოლებსა და სხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, დაკავშირებულს მეცნიერებასთან (სამეცნიერო პიკნიკები), არაფორმალურ სწავლებასთან (მაგ. S.POT), სპორტულ და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან (მაგ. სისხლის დონორობა).

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ხელს უწყობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს კარიერულ განვითარებაში UNI JOBS პროგრამის მეშვეობით [Unijobs@iliauni.edu.ge]. დეპარტამენტოორგანიზებას უწევს პოტენციურ დამსაქმებელთა და

სტუდენტთა მონაცემთა ბაზებს იმ მიზნით, რომ დაუკავშიროს არსებული ვაკანსიები სტუდენტთა განცხადებებს, რომელთაც სურთ დასაქმება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები იღებენ განახლებულ ინფორმაციას მათ ელ-ფოსტაზე ყოველდღიურად. მეტიც, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს ეძლევათ სტაჟირების შესაძლებლობა საჯარო სამსახურებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ-ს სტუდენტებისათვის სტაჟირება ხელმისაწვდომია, ასევე, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში. დასაქმების სამი გამოფენა
იყო ორგანიზებული სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2017 წელს. მონაწილე სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდის მიზნით, მათ ასწავლეს რეზიუმეს წერა და ავარჯიშეს ინტერვიუირებაში.

გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან თავიანთი აკადემიური წერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების შესაძლებლობით აკადემიური წერის ცენტრში დარეგისტრირებით. ორგანიზებული სემინარების გარდა, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები კონკრეტულ თემებზე. სტუდენტებს, რომლებსაც სურთ გაიუმჯობესონ ეროვნული სასწავლო გრანტის ქულები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ, მოსამზადებელ ცენტრთან ერთობლივად, ორგანიზებულია უფასო ინტენსიური მოსამზადებელი კურსები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი რეგულარულად მონაწილეობს სტუდენტთა კვლევებში და საჭიროებების შეფასებაში და ძირითადად სისტემა „არგუსით“ მონაცემთა მოგროვებაში. როგორ ეს სტუდენტებთან გასაუბრებებისას აღინიშნა, ისინი არ იღებენ უშუალო გამოხმაურებას კვლევების შედეგებზე, მაგრამ შედეგები ჩანს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ გაუმჯობესებებში.

ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაში სტუდენტები წარმოდგენილნი არიან უნივერსიტეტის სენატში (წარმომადგენლობითი საბჭო). სენატის წევრ სტუდენტებს შეუძლიათ ადვოკატირება გაუწიონ სტუდენტთა საჭიროებებს და მოთხოვნებს.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სწავლი გადასახადის გადახდის წესების შესაბამისად, BA და MA სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მოსახერხებელი გადახდის გრაფიკი (მაგ. 2, 4, 6 და 10 თანაბარ ნაწილად ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის შემაჯამებელი ანგარიში • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები • თვითშეფასების ანგარიში • Samples, .www.iliauni.edu.ge • გასაუბრების მონაცემები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოკითხვების ანგარიშები (ინსტრუმენტები, მონაცემები)
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მოწყვლად და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ზრუნვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტუდენტზე ორიენტირებულობის ყველა ზომა და აქტივობები.
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაშია განცხადებული „ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე“, დაფუძნებულია პრინციპზე „კვლევისა და სწავლების ერთიანობა; ცოდნის შექმნა და გადაცემა ხდება ერთი და იმავე ადამიანების მიერ, ხოლო სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ცოდნის შექმნის პროცესში“. ძირითად ღირებულებებს შორის დასახელებულია „სწავლების/სწავლის და კვლევის ერთიანობა“. სწავლისა და სწავლების ინტეგრირება კვლევასთან მიღწეულ იქნა საგანმანათლებლო პროცესებში მკვლევართა ფართო ინკორპორირებით ლექციების/სემინარების /ლაბორატორიული სამუშაოების მეშვეობით; უახლესი კვლევების მონაცემების გამოყენებით სასწავლო რესურსებში; ფართო ჩართულობით ახალ და მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინსა და გაუმჯობესებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროების საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან ფართო ხელმისაწვდომობას და მათი ჩამონათვალი მუდმივად იზრდება.

ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ში ხორციელდება 19 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და მუსიკის ცენტრის მიერ, რომელიც ჩართულია საშემსრულებლო და შემოქმედებით აქტივობებში მუსიკის სფეროში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინსტიტუტების ინკორპორირება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში და მათი წვლილი ინსტიტუციურ სამეცნიერო საქმიანობაში ვარირებს ძალიან წარმატებულიდან ნაკლებად მონაწილეობითამდე. შეთავაზებულ იქნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტივობები საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად, რათა გაუმჯობესოს კვლევითი ინსტიტუტების /ერთეულების ინტეგრაცია მთელი შეძენილი სამეცნიერო პოტენციალის გამოსაყენებლად.

უნდა იქნეს აღნიშნული, რომ თუ მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ჩართულობა კვლევით აქტივობებში საკმაოდ მაღალია, ბაკალავრიატის სტუდენტების მონაწილეობა შედარებით დაბალია. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს მიეცეთ ხელმისაწვდომობა კვლევით ობიექტებთან და გააცნონ მათ მეცნიერება რაც შეიძლება ადრე, სფეროსათვის საჭირო პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განსავითარებლად.

კვლევების განხორციელების დეკლარირებითა და ხელშეწყობით, როგორც მისი ძირითადი პრიორიტეტისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს, გააუმჯობესოს მისი კვლევა, რაც აისახება უნივერსიტეტის მაღალ რეიტინგში (Scimago, Webometrics, U-Multirank და სხვ.) ადგილობრივ და ზოგიერთიმაჩვენებლებით, საერთაშორისო დონეზე.

2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს „უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობების განვითარებასა და გაძლიერებას“. კვლევების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, რომელიც გაზიარებულია უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან/სკოლებთან და კვლევით ერთეულებთან, სინქრონიზებულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიასთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს კვლევების პრიორიტეტს მკაფიოდ და მოკლედ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს და მისი სკოლებისა და ფაკულტეტების სამოქმედო გეგმები ზოგადია, მოკლებულია რაოდენობრივ დეტალებს და ზუსტ ხედვას გასატარებელი ქმედებებისა და ზომების შესახებ; ამგვარად, ძნელია შეფასება იმისა, თუ რამდენად რეალისტური და მიღწევადია განცხადებული მიზნები და ამოცანები არსებული ფინანსური, ადამიანური, ტექნიკური და/ან მატერიალური რესურსების გათვალისწინებით.

სადოქტორო კვლევებში ეფექტიანი მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე და ბიზნესის სკოლაში მოქმედებს „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“. აღნიშნული რეგულაციები მკაფიოდ განსაზღვრავს დოქტორანტების/მკვლევარების ხელმძღვანელების ფუნქციებს, და ამავდროულად უტოვებს სხვადასხვა სფეროების თავისუფლებას, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. . იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ „კომუნიკაციის“ პირობები სტუდენტსა და მის ხელმძღვანელს შორის არ არის მკაცრად რეგულირებული, არსებობს არასაკმარისი კომუნიკაციის შემთხვევები .

სადოქტორო ნამუშევრის კონცეფცია მოიცავს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესებს, მათ შორის კვლევითი პროცესის სისტემატიზებას, შუალედურ ანგარიშებს პროგრესის თაობაზე და პერიოდულ

გამოხმაურებას. სადოქტორო კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო სწავლების რეგულაციები ითვალისწინებენ შესაბამისი საერთაშორისო პუბლიკაციების წარდგენას, რომლებიც უნდა იყვნენ ინდექსირებულნი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პერიოდულ გამოცემებში. პროცესში ჩართულ პირებთან ინტერვიუებიდან გაირკვა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა საშუალებას აძლევს მათ ეფექტიანად უხელმძღვანელონ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებსა და მაღალხარისხიან სამეცნიერო ნაშრომებს.

აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავენ დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც გამჭვირვალეა, ობიექტური, სამართლიანი და ღიაა საზოგადოებისათვის.

შეშფოთების საგანია ის, რომ სადოქტორო დისერტაციების დაცვის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, მაშინ, როდესაც შეჩერებულსტატუსიან დოქტორანტთა რაოდენობა - გაცილებით დიდი, რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ დოქტორანტთა უმეტესობა დასაქმებულია და არ შეუძლია შეუხამოს მუშაობა სამეცნიერო აქტივობებს დროის დეფიციტის გამო, სწავლების მოქნილი გრაფიკის არარსებობით, ან რესურსების ნაკლებობით კვლევის შედეგების მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად. მნიშვნელოვანია აპლიკანტებისათვის დატვირთვების რეალური სურათის, მათი მოვალეობების და დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად არსებული მოთხოვნების ჩვენება, ისე, რომ მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალურად შეფასება მანამ, სანამ ჩაირიცხებიან სადოქტორო პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- ფაკულტეტების/სკოლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მომსახურების ხელშეკრულების რეესტრი;
- დასრულებული და მიმდინარე პროექტების ბაზა;
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებები;
- სადოქტორო პროგრამები/სადოქტორო ნაშრომები რეზიუმეები სია;
- დისერტაციის დაცვის ინდექსი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესები;
- საერთაშორისო პერიოდული გამოცემების მონაცემთა ბაზა;
- სადოქტორო ნაშრომის ნიმუში
- გასაუბრება კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

- შეთავაზებულია, რომ ილიას სახელმწიფო უნივესიტეტმა განახორციელოს აქტივობები საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის, რათა გაუმჯობესოს ყველა კვლევითი ინსტიტუტის/ერთეულის ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს მთლიანი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას.

- შეთავაზებულია, რომ დარგისათვის საჭირო პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განვითარების უზრუნველსაყოფად გაიზარდოს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
- არსებულ რესურსებთან ქმედებების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტებისა და სკოლების სამოქმედო გეგმები უნდა იყოს უფრო ზუსტი და დეტალური.
- სადოქტორო დისერტაციების დაცვის ინდიკატორის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვლევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და თითოეული კვლევითი ინსტიტუტის/ერთეულის სათანადო დებულებებით. კვლევით/შემოქმედებით აქტივობებს დახმარებას უწევენ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, განვითარების სამსახური და უნივერსიტეტის კვლევების საბჭო, რომლის ფუნქციები, საქმიანობა და ვალდებულებები ნათლად არის განსაზღვრული, რათა გამოირიცხოს შესაძლო გადაფარვა და ამავდროულად, განხორციელდეს აქტივობების ეფექტური და დროული კოორდინაცია.

ცხადია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ზოგიერთი განსაკუთრებული სფეროს კვლევების დახმარებისა და განვითარების პრიორიტეტები, რაც არ გამორიცხავს სხვა სფეროებისადმი თანაბარ ფინანსურ დახმარებას. კვლევის დაფინანსების პროცედურები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია და ეფუძნება ადრე მიღწეული შედეგების შეფასებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს მუდმივად უწევს დახმარებას (ტრენინგებით, ვორქშოპებით, კონსულტაციებით და ა.შ.), ისევე, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალს იმაში, რომ მოზიდულ იქნეს ფინანსირება სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო წყაროებიდან კვლევებზე და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე; პროექტების ეფექტურ მართვაზე და ანგარიშგებაზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნავს თავის ძლიერ მხარედ მუდმივ ძალისხმევას ახალგაზრდა და უაღრესად მოტივირებული მკვლევარების მოსაზიდად. ამის ერთი მაგალითია - უნივერსიტეტთან აფილირებული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ყოველწლიური პასკალის პრემიის დაწესება, საერთაშორისოდ აღიარებულ პერიოდულ გამოცემებში პუბლიკაციებისათვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ეხმარება და სპონსორობს სტუდენტთა (განსაკუთრებით MA და PhD დონეებზე) და ახალგაზრდა მკვლევარების მონაწილეობას კონფერენციებში/ ტრენინგებში/ვორქშოპებში/სემინარებში/ფესტივალებში,მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში, რითაც სტუდენტებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო მობილობით.

ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია 80-ზე მეტ სხვადასხვა კვლევით პროექტში. 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის კონსორციუმის NUCLEUS-ის წევრი, „კვლევითი და განვითარების პროექტების ხელშეწყობისა და ინტერნაციონალიზაციის განმტკიცების, ასევე, სოციალური საჭიროებით განპირობებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირების“ მიზნით. 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსა კარლ ფრიდრიხ ლეჰმან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც დაარსდა „რომ გამხდარიყო ქოლგა სადოქტორო სკოლა“ ყველა ფაკულტეტისათვის, მტკიცე ფოკუსით საერთაშორისო გაცვლასა და მობილობაზე „კოტუტელზე დაფუძნებული“ სადოქტორო პროექტების შეთავაზებით, რომლებსაც მივყავართ ორმაგი ან მრავლობითი აკადემიური ხარისხის მინიჭებამდე. ერთობლივი პროექტების მეორე მაგალითია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსული და ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა (CEERES).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- სამეცნიერო კვლევითი კოორდინაციის დებულება;
- განვითარების სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- დასრულებული და მიმდინარე პროექტების მონაცემთა ბაზა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა
- პასკალის ჯილდო - გამარჯვებულები - ვებ-გვერდი;
- რუსთაველის ფონდის მონაცემები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლეჰმანის საერთაშორისო უმაღლესი სკოლის დებულება და ხელშეკრულებები;
- ჩარჩო ხელშეკრულება სადოქტორო დონის თანამშრომლობისათვის;
- ერთობლივი ხელმძღვანელობის კონტრაქტის ნიმუში;
- მემორანდუმები
- გასაუბრება კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

გაიზარდოს მრავალდისციპლინური სადოქტორო სკოლების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

კვალიფიციური პერსონალი დამხმარე მომსახურებებისათვის.

გარეშე შემოსავლების მიღების კომპეტენცია და წარმატება

კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო

სადოქტორო სკოლა

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების ხარისხის შეფასების სიტემა წარმოადგენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების ნაწილს და მოიცავს აკადემიური პერსონალის კვლევის შესრულების შეფასებას, ისევე, როგორც კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი აქტივობების შეფასებას. აკადემიური პერსონალის შეფასება ეყრდნობა მრავლობით კრიტერიუმს, მათ შორის პუბლიკაციებს, გრანტებს, პატენტებს, შემოქმედებით პროექტებს, ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში/ვორქშოპებში მონაწილეობას, MA /PhD ნაშრომების ხელმძღვანელობას და სხვ. კვლევითი ერთეულების შეფასება მოიცავს: პროგრამულ დაფინანსებას და/ან შიდა დაფინანსების ინდიკატორის გამოყენებას; სამეცნიერო აქტივობების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, როგორებიცაა პუბლიკაციები, მოპოვებული პატენტები, სამეცნიერო გრანტები და/ან სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად წარდგენები; ორგანიზება და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებსა და სემინარებში - ყველა სტანდარტული შეფასების კრიტერიუმი.

შეფასების პროცესს მართავს უნივერსიტეტის კვლევების საბჭო, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დახმარებით. ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში გამოყენებულია შეფასების ინსტრუმენტად. ყოველი წლის ბოლოს, უნივერსიტეტი წარადგენს სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების ანგარიშს საზოგადოებას (ვებ-საიტზე ატვირთული პრეზენტაციის მეშვეობით).

მთლად ნათელი არ არის თუ როგორ გამოიყენება შეფასების ანგარიში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რადგან ინტერვენციის მექანიზმები არაა დოკუმენტურად განსაზღვრული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესები;
- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება და უნივერსიტეტის დაფინანსების წესები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშები;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
- შეხვედრები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალთან

რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად
რჩევები: სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის და ერთეულების შეფასების მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარება.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მკაფიო ხედვა მიმდინარე და მომავალი საჭიროებებისა და მოთხოვნების თაობაზე მატერიალური (როგორც ფიქსირებული, ისე ლიკვიდური აქტივები), ინფორმაციული და ფინანსური რესურსების კუთხით, რომლებიც აუცილებელია ინსტიტუციის სათანადო ფუნქციონირებისათვის; ეს ხედვა რეალურად გამოხატულია ბიუჯეტში, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმებში. ინფრასტრუქტურის განახლება და აღდგენა წარმოადგენს ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ მცდელობას; მოხდა ტექნიკური რესურსების განახლება; ლაბორატორიები აღჭურვილია კვლევებისა და სწავლა/სწავლებისათვის საჭირო ტექნოლოგიებით და სხვა მატერიალური რესურსებით და ეს ფაქტორები უმნიშვნელოვანესია და შესაბამისობაშია მისიისა და ხედვის განაცხადთან. ყველა რესურსი ადეკვატურია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების რელევანტური და საკმარისია არსებული და დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტისათვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს შენობებს აქვთ შესაბამისი სექციები: ფოიე, სარეკრეაციო არეები, საკლასო ოთახები, ადმინისტრაციული ოფისები ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობებით, ისევე, როგორც ფართები ჯგუფური მუშაობისათვის და სანიტარული კვანძები (მუდმივი წყალმომარაგებითა და დასუფთავების სერვისით). პირველი დახმარების კაბინეტი არაა ყველა შენობაში, თუმცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გეგმაში აქვს ამ საკითხის მოგვარება. ყველა ობიექტი (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკაბი, ლაბორატორიები, ინვენტარი და სხვ.) და რესურსები (ბიუჯეტში ასახული) მიმართულია საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობების დახმარებაზე. უსაფრთხოების რეგულაციები სასწავლო/სამეცნიერო ლაბორატორიებში თვალსაჩინოა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს აქვს უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება, რომელიც გამოიცადა ვიზიტის დროს, როდესაც დენის მოწოდება შეწყდა, მაგრამ უნივერსიტეტში ყველა სისტემა და ელექტრო-მომარაგება აგრძელებდა უწყვეტ რეჟიმში მუშაობას. შენობას გააჩნია ცენტრალური გათბობის სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა დაინსტალირდება ახლო მომავალში, რაც აღწერილია სამოქმედო გეგმებში. ხანძარსაწინააღმდეგო სიმძლავრეები და აღჭურვილობა წარმოდგენილია და შენობებს გააჩნია სათადარიგო გასასვლელები ხანძრის შემთხვევაში; პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება პრიორიტეტებს შორისაა, თუმცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისუფალი შეღწევა უნივერსიტეტის ყველა ობიექტზე ბადებს გარკვეულ ეჭვებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადაამზადა შენიბების თითოეულ სართულზე განლაგებული უსაფრთხოების პერსონალი შესაძლო საშიშროების თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების

ვიდეო ჩამწერი სისტემა ინსტალირებულია, როგორც უსაფრთხოების დამხმარე მექანიზმი.

ყველა შენობა, გარდა მთავარი შენობისა, არის ადაპტირებული (აღჭურვილია ლიფტებით, პანდუსებით და სხვ.), ასე, რომ სტუდენტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით შეუძლიათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისუფლად შეღწევა, ყველა ობიექტში.

ყველა ფიქსირებული და ლიკვიდური აქტივის ფლობა დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური პოზიციის განაცხადი (ბალანსი) 2017 წ,
- ბიუჯეტის პროექტის შემუშავების, ცვლილებების და მონიტორინგის რეგულაციები
- სავარაუდო 3 წლის ბიუჯეტი (2018, 2019, 2020) დამხმარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს სტრატეგიული და სამომედო გეგმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სამოქმედო გეგმა 2018-2020წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები 2018-2024წწ. თითოეული ფაკულტეტისათვის
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციისათვის
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტები 2006 წლიდან
- საერთაშორისო პროექტების მონაცემთა ბაზა
- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები
- კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები მატერიალური რესურსებისა და ბიუჯეტის ანალიზის და აღრიცხვის სამსახურის წარმომადგენლებთან
- საინვენტარიზაციო კომისიის ოქმები
- გასაუბრება უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან
- მატერიალური რესურსების დოკუმენტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს ბიბლიოთეკისა და ობიექტების დათვალიერება

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

- უზრუნველყავით, რომ ხალხი იყოს უსაფრთხოდ ვინაიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ გახსნილი ტერიტორიაა.
- გამოიყენე ფართები უფრო ეფექტიანად სტუდენტთა სასარგებლოდ *მაგ. გამოიყენეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თავისუფალი ფართები არაფორმალური სამუშაო და შეხვედრების ადგილების მოსაწყობად)

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგების ძალისხმევა

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, აქვს თავისი დებულება, ბეჭედი და ვებ-გვერდი. საბიბლიოთეკო ფონდი ფლობს 2 მილიონ მონოგრაფიას, სახელმძღვანელოს, პერიოდულ გამოცემას, ელექტრონულ რესურსებს და სხვ. სხვადასხვა ენაზე. ბიბლიოთეკას გააჩნია 9 სამკითხველო დარბაზი და 2 კომპიუტერული რესურს-ცენტრი. ეს უკანასკნელი კარგად აღჭურვილია ასლის გადამღები ტექნიკით და პრინტერებით (ფასიანი მომსახურება). შეხვედრებისა და სასწავლო ცენტრი განთავსებულია ილიას დარბაზში.
ბიბლიოთეკა აღჭურვილია Wi-Fi-თი. ელექტრონული კატალოგი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-საიტზე (http://opac.iliauni.edu.ge/eg/opac/home). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ღიაა ყველასათვის. სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონული მონაცემთა ბაზით სარგებლობა უნივერსიტეტის გარედანაც. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები ღიაა საზოგადოებისათვის დილის 9სთ-დან საღამოს 11სთ-მდე, კვირადღის გარდა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტანდარტი ბიბლიოთეკის პერსონალისათვის. ბიბლიოთეკა წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც საჯაროდ ქვეყნდება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, ისევე, როგორც ბიბლიოთეკის რესურსებითა და სერვისებით სარგებლობის გზამკვლევი. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს ელექტრონული ბაზების გამოყენების სტატისტიკას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ბიბლიოგრაფია წარმოდგენილია ბიბლიოთეკის წიგნების ფონდში. ბიბლიოთეკა, ასევე, აკადემიური კურსის პროფესორის / ხელმძღვანელის თხოვნის საფუძველზე ამზადებს **საკითხავ მასალებს** (ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს). გარდა ამისა, ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს ტრენინგებს მათი რესურსებით სარგებლობაზე (ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს) ფიქსირებული და მოქნილი გრაფიკით. ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია ორგანიზებას უკეთებს პირველკურსელთა გაცნობით შეხვედრებს.

მომსახურებები, როგორიცაა: წიგნის დაჯავშნა, კონკრეტულ საკითხზე ბიბლიოგრაფიის მოძიება, წიგნები პარტნიორი ბიბლიოთეკებიდან, აუდიო წიგნების მომზადება, ელექტრონული წიგნები, საკითხავი მასალა ბრაილით, ასევე უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის მიერ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ავითარებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიურ საცავს, მათ სტატიებს, წიგნებს, პუბლიკაციებს, ვიდეო-ლექციებს, თარგმანებს და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- https://library.iliauni.edu.ge/,
- სტატისტიკური მონაცემები
- გასაუბრება ბიბლიოთეკის პერსონალთან
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია რამოდენიმე შენობა აკადემიური პროცესის ხელშესაწყობად და უზრუნველყოფს ფალუკტეტებს შესაბამისი ფართით ეფექტურად და ეფექტიანად ოპერირებისათვის. IT ინფრასტრუქტურა რელევანტურია, თანამედროვეა და შეესატყვისება საქმიანობის პროცესებს. IT რისკების მენეჯმენტის სტრატეგია და პრაქტიკა მკაფიოა და მისაღები. ადმინისტრაციულ პროცესებზე მონაცემები შენახულია და მხარდაჭერილია ონლაინ შესაბამისი პლატფორმებით (არგუსი, Moodle და სხვ); მონაცემების (მათ შორის პირადი მონაცემების) დაცვის მექანიზმები რელევანტურია და უსაფრთხო; მონაცემები დაცულია რამოდენიმე სერვერზე, რომლებიც
დაცულია UPS-ის მეშვეობით; ელექტრო გენერატორები უზრუნველყოფენ დამატებით დაცვას;

ხდება მონაცემების რეგულარული „backed up“ ვირტუალურ სივრცეში. მონაცემთა მენეჯმენტის პროცესები მუდმივი მეთვალყურეობის და მონიტორინგის ქვეშაა.

სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ მუდმივი ხელმისაწვდომობა IT ინფრასტრუქტურასთან (როგორც კომპიუტერებთან, ისე პროგრამებთან); კომპიუტერული ლაბორატორიები მუშაობენ სტუდენტებისა და პერსონალისათვის; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს აქვს ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მენეჯმენტის სისტემები, რომლებიც გამოიყენება როგორც კვლევებში (ელექტრონული მონაცემთა ბაზები Clarivate Analytics, EBSCO, Elsevier, JSTOR, ProQuest და სხვ.), ისე სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში (არგუსი და Moodle). ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფენ ხელმისაწვდომობას თანამედროვე პუბლიკაციებზე, სახელმძღვანელოებზე, კვლევებზე და სხვ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ოპერირებს ‘არგუსით“ (ონლაინ პლატფორმა), რომელიც ინტეგრირებულია სწავლებისა და სწავლის პროცესში და წარმოადგენს კომუნიკაციის საშუალებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. ელექტრონული სერვისების გამოყენების მონიტორინგი წარმოებს მუდმივად, მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად და სისტემის ეფექტური ოპერირების უზრუნველსაყოფად. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს რეგულარულ ტრენინგებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის საბიბლიოთეკო და სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ოპერირებს Turnitin- პლატფორმით (პლაგიატის დეტექტორი), რომელიც ღირებული რესურსია უნივერსიტეტში სწავლება-სწავლისა და კვლევების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ფუნქციონირებადი ვებ-საიტი, რომელიც მეტწილად აწვდის ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ: სასწავლო პროგრამები, მიღება, სიახლეები, სწავლებისა და სწავლის სპეციფიკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. ვებ-საიტი იძლევა ინფორმაციას საერთაშორისო სტუდენტებისათვისაც: პროგრამების არჩევანი, ღირებულება და სტიპენდიები, აპლიკაცია და სავიზო პროცედურები და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგია 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2024წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების სამოქმედო გეგმა 2018-2020წწ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები 2018-2024წწ. თითოეული ფაკულტეტისათვის
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები 2018-2024წწ. ინტერნაციონალიზაციისათვის
- სენატის წევრებთან ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები
- კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუები IT პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის პერსონალთან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და ობიექტების დათვალიერება

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია ან შეთავაზება, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებებზე მორგებული IT პლატფორმა.

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსური რესურსების განაწილება ნათელია და ეყრდნობა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ხაზგასმულ პრიორიტეტებს; მთელი ფინანსური რესურსები მიზნად ისახავს მისიის განაცხადში მოყვანილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში ხელშეწყობას; ფინანსური სახსრების გამოყოფა ეფუძნება დამსახურების პრინციპს; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სპეციფიკური მიდგომა შემოსავლების დივერსიფიცირებისადმი და მოიპოვებს სახსრებს სამი ძირითადი წყაროდან: 1) შემოსავლები ეკონომიკური აქტივობებიდან მოიცავს შემოსავლებს საგანმანათლებლო პროგრამებიდან, სწავლის საფასურს და ა.შ. 2) სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 3) სხვადასხვა გრანტები - ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან. სტუდენტთა მზარდ რაოდენობას, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ფონდების ზრდას და ფოკუსს საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვაზე, ისევე, როგორც სხვა აქტივობებს კვლევითი აქტივობების კომერციალიზაციისათვის მივყავართ ვარაუდამდე, რომ დაწესებულების ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია. ის ფაქტი, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი შედგენილია თანამონაწილეობრივი მიდგომით ზრდის იმის შანსებს, რომ ცალკეული ფაკულტეტების ან კვლევითი ინსტიტუტების ამოცანების შესრულება გარანტირებულია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსები ადეკვატურია და საკმარისია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მოყვანილი აქტივობების - სწავლის, სწავლების, კვლევების თუ შემოქმედებითი აქტივობების, ისევე, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშესაწყობად. ბიუჯეტი ანაწილებს ფინანსების გარკვეულ ოდენობას კვლევითი აქტივობების ხელშესაწყობად; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფინანსურ ხელშეწყობას სამეცნიერო პერსონალისათვის, ისევე, როგორც ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტებისათვის; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ფინანსური აქტივობებისა და ბიუჯეტის ამოცანების შესრულების მონიტორინგს შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით; შიდა აუდიტი ასრულებს არა მარტო მონიტორინგის, არამედ საკონსულტაციო ფუნქციასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური პოზიციის განაცხადი (ბალანსი) 2017 წ,
- საბიუჯეტო და ფინანსური ანალიზის რეგულაციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი
- ფინანსური განაცხადი (ბალანსი) 2017 წ.
- შიდა აუდიტის სამსახურთან გასაუბრება
- საბიუჯეტო და საფინანსო რესურსების სამსახურთან გასაუბრება

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

რჩევები:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ს 2018-2020 წლების კვლევების სამოქმედო გეგმა დეტალურად აღწერს დაგეგმილ აქტივობებს 2018, 2019, 2020 წლებისათვის და ერთიანი თანხა გამოყოფილია თითოეული საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული ან კვლევითი აქტივობისათვის; თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა თითოეული კონკრეტული აქტივობისათვის უფრო სპაციფიკური ბიუჯეტის (ფინანსების კონკრეტული ოდენობის) მითითება.

  მაგ. მოსალოდნელი ხარჯები დაგეგმილი კონფერენციისათის, პერსონალის ტრენინგისთვის და სხვ.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- თანამონაწილეობრივი მიდგომა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისადმი.
- შიდა აუდიტის სამსახური მონიტორინგს უტარებს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, ისევე, როგორც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებით ფაკულტეტებსა და სხვა ერთეულებს.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია 2018-2020წწ. დეტალური სამოქმედო გეგმა თითოეული ფაკულტეტისათვის; ფაკულტეტების შესრულების გაზომვის კატეგორიები და საზომები მკაფიოდაა განსაზღვრული (მაგ. პროცენტულობა, ან რაოდენობა ან მოცულობა და ა.შ.), თითოეული ძირითადი შესრულების ინდიკატორი მითითებულია;

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან